PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვახტანგ ბოგველიშვილი

წევრები: მანანა მოისწრაფიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **05/03/2020 N276943** ბრძანების საფუძველზე, მ/წ 13 მარტს, სსიპ - კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, მისამართზე ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N 44, ეწვია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან; საგანამანთლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება (მათ შორის ბიბლიოთეკა)/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასწავლო პროცესის ორგანიზების და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია -
„კატალოგის ბოლოში განთავსებულია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის შეფასების წესებსაც. თუმცა, ვინაიდან, კატალოგსა და ანონსში ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ სასურველია იყოს მარტივად აღქმადი, სჯობს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ნაცვლად, მასში ასახული იყოს მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შეფასების წესის შესახებ.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	10.04.19, N23; ცვლილებები:N30; 02.03.20
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	თბილისი, ილია ვეკუას ქ. N 44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40 (ორმოცი)
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20 (ოცი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143 (ასორმოცდასამი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90 (ოთხმოცდაათი)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173 (ასსამოცდაცამეტი)
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120 (ასოცი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის განცხადებით, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ არის ერთ-ერთი მოთხოვნადი და პერსპექტიული სპეციალობა. როგორც აღმოჩნდა, სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „ტოპოგრაფის“ განხორციელებამ, აგრეთვე კურსდამთავრებულთა ზეპირმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან პროფესიით და შრომის ბაზარზე ძალიან დიდია მოთხოვნა აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე კადრებზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ტოპოგრაფი“ (ე.წ. საგნობრივი) სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ 2014 წლიდან ახორციელებდა და მას შემდეგ სწავლის მსურველთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. წლების განმავლობაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, კოლეჯი თანამშრომლობს საჯარო და ბიზნეს სტრუქტურებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2018 წელს აღნიშნული პროგრამა კოლეჯში არ განხორციელებულა, თუმცა, კურსდამთავრებულთა და აპლიკანტთა მოთხოვნის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა მისი დამატების მიზანშეწონილობა. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის შესწავლის საფუძველზე, ავტორიზაციის გავლის შედეგად, 2019 წლის შემოდგომიდან პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, კოლეჯმა მიიღო უფლება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, რომელზეც 2019 წლის შემოდგომის პროფესიულ ტესტირებაზე დარეგისტრირდა 45 აპლიკანტი, ხოლო ჩაირიცხა 20 პროფესიული სტუდენტი.

აღსანიშნავია, რომ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება, რამაც გამოიწვია კონკურენციის შემცირება წინა წლებთან შედარებით. მაშინ როცა, „ტოპოგრაფის“ საგნობრივ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიული სტანდარტით მოთხოვნა იყო მხოლოდ საბაზო განათლება და მინიმალური ასაკი - 18 წელი. სტატისტიკამ ცხადყო, რომ ჩარიცხულთა 50% სწორედ საბაზო განათლების მქონე სტუდენტი იყო. 2019 წელს შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2020 წლის საგაზაფხულო მიღებისთვის, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ გეგმავს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

განხორციელებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით. კოლეჯის მისიაა თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის, ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით, ხოლო სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია შრომის ბაზრისა და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების დანერგვა/პილოტირება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია პროგრამის შემუშავებასა და დამატებასთან დაკავშირებული პროცედურები, აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გზით განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება ეფუძნება სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მისიასა და ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანებას „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების (ექვსწლიანი გეგმის შვიდწლიანად (2018-2025წწ.) ჩამოყალიბების) პროექტის შემუშავების მიზნით, კოლეჯის დირექტორმა შექმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N36, 02.03.2020). დაწესებულებამ ამის შესახებ ინფორმაცია განათავსა კოლეჯის ვებ-გვერდზე. პროექტი შემუშავდა გუნდურად, კოლეჯის თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების აქტიური ჩართულობით. 2020 წლის 11 მარტს, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში გაიმართა დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

პროექტის განხილვა, 12 მარტს კი კოლეჯის დირექტორის მოადგილემ დაწესებულების დირექტორს წარუდგინა კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025 წწ.) ცვლილების პროექტი. სტრატეგიული გეგმა მიმოიხილავს დაწესებულების გრძელვადიან ხედვას, დანიშნულებას, მუშაობის მთავარ პრინციპებს, მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებს 2018–2025 წლების პერიოდში. დაწესებულებამ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა, ასევე პარტნიორებსა და დამსაქმებლებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუგზავნა სტრატეგიული განვითარების გეგმის ცვლილების პროექტი და გამოთქვა მზაობა, აღნიშნულთან დაკავშირებით ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ პირთან, გაითვალისწინოს რეკომენდაციები და შენიშვნები.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე შექმნილ „აზომვით - ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დეტალურადაა აღწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, როგორც პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე, ისე - ინტეგრირების შემთხვევაში:

ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება;

ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო ზოგადი განათლება.

3. კოლეჯში არსებობს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვით თითოეული პროგრამისათვის დაწესებულება განსაზღვრავს სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას. მეთოდოლოგიის მიხედვით, კონტიგენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად გარემოებებს:

ა) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა;

ბ) რეესტრის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის, სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელთა რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

გ) სასწავლო გარემო;

დ) კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი;

ე) შრომის ბაზარი და დამსაქმებლების მოთხოვნები;

ვ) პროგრამის ხანგრძლივობა;

ზ) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი;

თ) პარტნიორი კომპანიები

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დარგობრივი მოდულების სწავლება მიმდინარეობს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სათანადოდ აღჭურვილ, ხოლო ინტეგრირებული მოდულების „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების“ მოდულის ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის კომპონენტები შესაბამისი აღჭურვილობის მქონე სივრცეებში, ორ ცვლაში. აღნიშნული აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. აუდიტორიებში სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა განისაზღვრება 20 ადგილით. აქედან გამომდინარე, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 40 ადგილით (ერთ ცვლაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, მეორე ცვლაში - ინტეგრირების გარეშე).

4. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის N131 გადაწყვეტილებით, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯში არსებული ყველა რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღრჭურვილობა და რესურსების სია დამტკიცებული აქვს ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის შემუშავებული სარეკომენდაციო ნუსხის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დაწესებულებამ წარმოადგინა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია ინტეგრირებული მოდულის სწავლის შედეგებთან. მოდულებში მითითებულია ყველა სავალდებულო ლიტერატურა, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

5. აღნიშნულ პროგრამას არჩევითი მოდული არ გააჩნია.

6. კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხდება დაწესებულების მერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

7. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება იდენტურია იმ ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა, რაც ნიშნავს, რომ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა კოლეჯს შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და დაწესებულებაში არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის,
- „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ (რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) დამატების მიზნით შექმნილი მიზანშეწონილობის შესახებ კომისიის სხდომის ოქმი №4;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 11.05.2018 წლის N43 ბრძანებით);
- 2019-2020 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 08.08.2019 წლის N65 ბრძანებით);
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით);
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანება „საშუალო პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“;
- „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია ცვლილებებით დირექტორის ბრძანებით, რეკვიზიტები: 10.04.19, N23);
- „სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის N34 ბრძანებით);
- „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები კონტიგენტის განსაზღვრა;
- რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის წესდება (დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N 121/ნ ბრძანებით);
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N36, 02.03.2020 სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025წწ.) ცვლილების პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ვებ-გვერდი;
- სსიპ კოლეჯ - „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- 2020 სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025წწ.) ცვლილების პროექტი;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის N131 გადაწყვეტილებით, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯში არსებული ყველა რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებული მოდულების სრულფასოვნად განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის შემუშავებული სარეკომენდაციო ნუსხის შესაბამისად. მოდულებში მითითებულია ყველა სავალდებულო ლიტერატურა, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

პროგრამას თან ახლავს ის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც აუცილებელია პროგრამის განსახორციელებლად. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია აგრეთვე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ის რესურსები, რასაც კოლეჯის პარტნიორი კომპანიები ფლობენ.

პროგრამის განხორციელების მიზნების გათვალისწინებით, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი შემდეგ ორგანიზაციებთან:

1) შპს „არქგაზკომუნპროექტი“ (მემორანდუმი №385),

2) შპს ,,LMC“ (მემორანდუმი №387),

3) შპს „გეოანალიტიკა“ (მემორანდუმი N 388),

4) შპს [redacted] (მემორანდუმი N390),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

5) შპს „რუკა მაპპინგი“ (მემორანდუმი N395)

6) შპს „სენსონი“ (მემორანდუმი № 394)

2. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა (როგორც ზოგად და დარგობრივ, ისე ინტეგრირებულ მოდულებზე) და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამების განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 18 (თვრამეტი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 (ათი) პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 (შვიდი) პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამას დანართის სახით თან ახლავს დოკუმენტი პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით.

3. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით, აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.

4. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ არ იყო დამკვიდრებული პროგრამის ხელმძღვანელის პრაქტიკა. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად დაინიშნა პირი, რომელსაც აქვს სათანადო დარგობრივი კომპეტენცია და მრავალწლიანი პროფესიული და პედაგოგიური გამოცდილება.

5. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის N131 გადაწყვეტილებით, რაც ადასტურებს, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულებამ უზრუნველყო ასევე ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები. გამოვლინდა ერთი შემთხვევა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის არარსებობისა: კერძოდ, ო'ჰენრის „მოგვთა საჩუქრები" არ აღმოჩნდა ადგილზე, თუმცა დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებშივე უზრუნველყო აღნიშნული ნაწარმოების ელექტრონული სახით ხელმისაწვდომობა.

6. სსსმ პირებს შეუფერხებელი წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სსსმ პირებისათვის, საჭიროებიდან გამომდინარე, პროფესიული ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ხარისხის მართვის მენეჯერის, ასევე სურვილის შემთხვევაში სსსმ პირის ჩართულობით ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც ისინი შეუფერხებლად იყენებენ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებს. ამ ეტაპზე „აზომვით ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების" არსებულ პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან, თუმცა კოლეჯში არსებული სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პრაქტიკა არსებობს.

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულებამ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების განაცხადთან ერთად წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია ცვლილებებით დირექტორის ბრძანებით, რეკვიზიტები: 10.04.19, N23);
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაცია;
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N30 ბრძანებით);
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (დამტკიცებულია: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N58, 26.06.2018წ.);
- სსსმ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებისა და სწავლებაში გამოვლენილი თავისებურებების განხილვის შესახებ ოქმები
- 2013 წლის 19 სექტემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №244 პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“;
- სსიპ-კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 30 იანვრის N104468 წერილი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასაწავლებლების თანამდებობებზე გამოცხადებული ღია კონკურსის მეორე ეტაპის ჩატარების (გასაუბრება) უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2;
- პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ (ინტეგრირებული მიდგომით) ბიუჯეტი;
- ინტერვიუირება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურები და მექანიზმები, ასევე დაწესებულებაში მოქმედებს განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმები. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალისა და დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მუშაობს საერთო PDCA პრინციპით: P – plan - დაგეგმვა; D – do - განხორციელება; C - check - შემოწმება; A – act - რეაგირება. დაწესებულება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ფარგლებში ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას სპეციალური კითხვარების მეშვეობით. დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები) მხრიდან უკუკავშირი ხორციელდება სწორედ მათ მიერ შევსებული კითხვარების მეშვეობით, რის შემდეგაც ხდება მათი ანალიზი და შემდგომი რეაგირება.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს, თუ რამდენად და როგორ გაითვალისწინებს პროგრამის შეფასების მექანიზმი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, საუკეთესო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. დაინტერესებულ მხარეებში კოლეჯის ადმინისტრაცია აქცენტს აკეთებს დამსაქმებლების უკუკავშირზე.

„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა 2019 წლის 10 ივლისს, პროფესიული სტუდენტების პირველი მიღება მოხდა 2019 წლის შემოდგომაზე, ხოლო სწავლო დაიწყო 2019 წლის 2 დეკემბერს. იმისათვის, რომ პროგრამა დაინტერესებული მხარეების მიერ სათანადოდ შეფასდეს, მისი შეფასება იგეგმება 2020 წლის გაზაფხულზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით);
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმები (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის N109 ბრძანებით);
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მონაცემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას ადგენს შესაბამის სასწავლო გეგმებს, რომელთა მიხედვითაც ხდება „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება. პროგრამას გააჩნია ორი სასწავლო გეგმა: ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებითა (პროგრამის ხანგრძლივობა - 30 სასწავლო თვე (120 კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში - 35 სასწავლო თვე (140 კვირა)) და ინტეგრირების გარეშე (პროგრამის ხანგრძლივობა - 16,5 სასწავლო თვე (66 კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში - 21,5 სასწავლო თვე (86 კვირა)). სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით. სასწავლო ცხრილები დგება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო მიზნების მიღწევა.

2. დაწესებულების განცხადებით, სასწავლო პროცესის ორგანიზება ხდება პროფესიული სტუდენტის ინტერესების, სასწავლო ცხრილების შედგენა კი - პროფესიული სტუდენტის საჭიროებების შეძლებისდაგვარად გათვალისწინებით. სასწავლო ცხრილების შედგენა სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ხდება პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით. სასწავლო ცხრილები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

3. ყველა სასწავლო აუდიტორია/ლაბორატორია აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარი ითვალისწინებს შეფასებას სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ, გამოკითხვის შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება და საჭიროების შემთხვევაში - რეაგირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

4. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მაქსიმალურად ხდება სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც:

- სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;
- პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრის საჭიროება ამ ეტაპისათვის არ დამდგარა.

5. „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიებთან, მათთან გაფორმებულია სათანადო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, სადაც აღწერილია თანამშრომლობის დეტალები. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:

1) შპს „არქგაზკომუნპროექტი“ (მემორანდუმი №385),

2) შპს ,,LMC“ (მემორანდუმი №387),

3) შპს „გეოანალიტიკა“ (მემორანდუმი N 388),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

4) შპს [redacted] (მემორანდუმი N390),

5) შპს „რუკა მაპპინგი“ (მემორანდუმი N395)

6) შპს „სენსონი“ (მემორანდუმი № 394)

6. კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებაში არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებგვერდზე. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ კოლეჯის რამდენიმე თანამშრომელს ჩაუტარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო-თეორიული ტრენინგი. პროგრამის განხორიელებაში ჩართული პარტნიორი კომპანიების მხრიდან პროფესიულ სტუდენტებს უტარდებათ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. კომპანიებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებულია პუნქტი უსაფრთხოების ნორმების დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია ცვლილებებით დირექტორის ბრძანებით, რეკვიზიტები: 10.04.19, N23);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით)
- ფაქტობრივი მდგომარეობით, ვიზუალური დათვალიერებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმები (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის N109 ბრძანებით);
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 26.06.2018 წლის N58.ბრძანებით დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები (დამტკიცებულია: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით N26, 27.04.2018.წ).

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების მექნიზმები და პროცედურები. პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობასა და სამართლიანობას. კოლეჯში ასევე შექმნილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც ასევე აფასებს გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობასა და გამჭვირვალობას.

2. კოლეჯში დანერგილია პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. შეფასების განხორციელებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე შეფასების ინსტრუმენტი გადის სავალდებულო ვერიფიკაციას ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლის შედეგების დასადასტურებელ შეფასების ინსტრუმენტს შესათანხმებლად წარუდგენს ხარისხის მართვის მენეჯერს, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხური/დონე, მოდულის დასახელება, სარეგისტრაციო ნომერი და კრედიტის ოდენობა, პროფესიული სტუდენტის სახელი გვარი და ჯგუფის ნომერი, სწავლის შედეგები, დადასტურების თარიღი, შეფასებისთვის განკუთვნილი დრო, შესრულების კრიტერიუმები, დავალების აღწერა (წერილობითი მოკლე აღწერა) თითოეული სწავლის შედეგისთვის, შეფასების მიმართულება, შეფასების ინსტრუმენტი, მტკიცებულება, სწავლის შედეგის დადასტურებისათვის საჭირო გარემო (A,B,C), განმეორებითი შეფასების პირობები, შეფასების ინსტრუმენტის ავტორი, შემფასებლისა და პროფესიული სტუდენტის ხელმოწერები. ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

შიდა შემმოწმებელს (შიდა ვერიფიკატორს) და სწავლის შედეგების დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს, თუ რამდენად თავსებადია მოდულით განსაზღვრულ შემდეგ მიმართულებასთან:

ა) არის თუ არა პროფესიული სტუდენტისათვის გასაგებად აღწერილი დავალება;

ბ) არის თუ არა შეფასებისათვის განსაზღვრული დრო საკმარისი;

გ) არის თუ არა შეფასების ინსტრუმენტი ვალიდური, სანდო, მარტივი, მოქნილი და მიუკერძოებელი.

ვინაიდან შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტებისა და უკვე შექმნილი მტკიცებულებების შერჩევითი წესით ვერიფიკაცია, როგორც წესი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა იქნეს ორგანიზებული, იგი არ უნდა იყოს ჩართული ინსტრუმენტის შემუშავება/დაკორექტირებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი არასრულფასოვან სახეს იღებს.

3. კოლეჯი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაცის/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასაცემს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს სათანადო აღრიცხვის მიზნით. მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს თანამდებობრივი ინსტრუქციის მიხედვით ეკისრება მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროცესების დაგეგმვის, შეფასება/შემოწმების, განვითარებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის თვალსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის პროცესი სასურველია გადაეცეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და ვიზიტის ფარგლებში მისცა რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენლებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

კრიტერიუმის მე-2 და მე-3 პუნქტთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ კოლეჯმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მითითებული რეკომენდაციები და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის №26 ბრძანებაში.

4. დაწესებულება გეგმავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზების მეთოდოლოგიის დანერგვას, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ შედეგების დადასტურება/არდადასტურების მაჩვენებლების საფუძველზე სათანადო ღონისძიებების გატარებას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის ადმინისტრირების შესახებ დებულება;
- პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ ბრძანება (07.05.19, N37);
- პროფესიული განათლების სტანდარტის კომპონენტთან თავსებადობის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 27 მარტის N40 ბრძანება „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

(თბილისი, 2020)

PDF Eraser Free

დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის №26 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
- დანართი 2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება N36, 02.03.2020 სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025წწ.) ცვლილების პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

PDF Eraser Free

- დანართი 3. ინფორმაცია ვებ-გვერდიდან სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025წწ.) ცვლილების პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;
- დანართი 4. ინფორმაცია ფეისბუქის გვერდიდან სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025წწ.) პროექტის განხილვის თაობაზე;
- დანართი 5. სსიპ კოლეჯ - „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მოადგილის სამსახურებრივი ბარათი;
- დანართი 6. ინფორმაცია ვებ-გვერდიდან სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025წწ.) ცვლილების პროექტის შემუშავების თაობაზე;
- დანართი 7. ელ. წერილი პარტნიორებსა და დამსაქმებლებს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2025წწ.) ცვლილების პროექტის საჯარო განხილვების თაობაზე.

09.04.2020

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------